ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4924836

ნომერი: AR1742935

თარიღი : 04.04.2020

გაცემის თარიღი : 08.04.2020

გაცნობის თარიღი : 08.04.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 16ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ასათიანი პ/ნ 01024023497
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 4 აპრილს №AR1742935 განცხადებით მომართა გიორგი ასათიანმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის №4785110 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის №4785110 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ატენის ქუჩა, №16ა-ში, №01.14.14.011.083 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4917807 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის №4785110 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატა ავტოსადგომის ფართობი - 5257.9 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობად დაფიქსირდა - 26572.9 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის №4785110 ბრძანებით შეთანხმებული -5.40 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის №4785110 ბრძანებით შეთანხმებულ ჭრილებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს მათ ჩანაცვლებას წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ჭრილებით.
სამსახურის მიერ, წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილ ჭრილებზე იცვლება ფილის მასალა, კერძოდ 2019 წლის 10 დეკემბრის №4785110 ბრძანებით ჭრილებზე შეთანხმებულია რკინა-ბეტონის ფილა, ხოლო 2020 წლის 4 აპრილს №AR1742935 განცხადებით წარმოდგენილ ჭრილებზე მოცემულია თაბაშირ-მუყაოს ფილა. რაც, არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრის №4785110 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
